ოქმი:**ო31.31203381**
თარიღი:**03/12/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

26. 11. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სურს გამოხატოს წუხილი როგორც პირადად, ასევე თითოეული მათგანის სახელით ბიძინა გუჯაბიძის უდროოდ გარდაცვალების გამო. მისი თქმით, ეს იყო პიროვნება, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი ქალაქი და თავისი ქვეყანა. თითოეულ ლანჩხუთელს ყოველთვის ქონდა ამ ადამიანის იმედი, მაგრამ სამწუხაროდ უეცრად, ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. საკრებულოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ბიძინა გუჯაბიძის ხსოვნისათვის.

ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარიამ** პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით

აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით საჭირო და აუცილებელია გარკვეული რეგულაციების დაცვა. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რომ საკრებულოს მომდევნო სხდომები მიზანშეწონილია გაიმართოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სარგებლობაში არსებული ქ. ლანჩხუთის კულტურის სახლში, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული სოციალური დისტანცია, რითაც საგრძნობლად შემცირდება კოვიდის გავრცელების რისკ-ფაქტორები.

ამის შემდეგ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** გააკეთა განცხადება, რომ კომისიაში შემოვიდა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ლელა ჩახვაძის განცხადება ფრაქციის დატოვების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ფრაქციის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. აქედან გამომდინარე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითვლება გაუქმებულად განცხადების შემოტანის თარიღიდან. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა მისი ეს განცხადება საკრებულომ მიიღოს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ.** მან აღნიშნა, რომ ,,სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას. ასევე, საკრებულოს გასაცნობად გადმოეგზავნა 2021 წელს სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მხრივ დაგეგმილი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს წევრი **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც შესაბამის სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პროექტების შესახებ, იყო თუ არა დაკონკრეტებული სოფლის სახელები, თუ ეს ზოგადი სახის ინფორმაციაა. რაც შეეხება სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, საკრებულოს წევრის თქმით, არც ამის შესახებ აქვს რაიმე საბუთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოში აღიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავდაპირველად შემოსული პაკეტი დეპუტატებს მიწოდებული აქვთ ელექტრონულად. ამის შემდეგ, საკრებულოს კომისიების მოთხოვნის საფუძველზე მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ საკითხი დამატებით, გაშლილი სახით იქნა წარმოდგენილი.

საკრებულოს წევრი **გოდერძი ქურიძე** დაინტერესდა, რა იგულისხმება ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობაში, რაზეც მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ იგულისხმება გზის რეაბილიტაცია. წარმოდგენილია ჯამურად, რადგან ჯერ არაა ცნობილი, თუ რა თანხა იქნება გამოყოფილი. ამიტომ წინასწარაა ჩადებული, რათა შემდეგ პრობლემა არ შეიქმნას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა სოფ. ჩიბათში კოლხეთის ეროვნულ პარკში მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს გრანტი მთლიანად წაიღო ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა. ამჟამად არის დაპირება, რომ თანხა მთლიანად მოხმარდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, მაგრამ იმისთვის, რათა პროექტი განხორციელდეს, საკრებულოს მიერ მოწონებული უნდა იქნას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N55 (26.11.2020)

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ცისანა ურუშაძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ, შენიშვნებით დაბრუნებულია აღმასრულებელ ორგანოში და 10 დეკემბრამდე საკრებულოს დაუბრუნდება შესწორებული პროექტი. საკრებულოს თავმჯდომარემ იქვე განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესახებ მომხსენებელი უნდა ყოფილიყო მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდერე სარიშვილი, მაგრამ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო დღევანდელ სხდომას ვერ ესწრება. აქედან გამომდინარე, საკითხს წარადგენს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოსვლისთანავე განიხილა კომისიებმა და ფრაქციებმა. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული

იქნა გარკვეული შენიშვნები და წინადადებები. მათი გათვალისწინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა შემაჯამებელი დასკვნა, რომლის საფუძველზეც 2021 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოთაღნიშნული წინადადებების და შენიშვნების გასათვალისწინებლად დაუბრუნდა მერიას.

საკრებულოს წევრი **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, თუ რა მიზეზები დაედო საბაბად მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მერიაში დაბრუნებას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ფრაქციებისა და კომისიების მიერ გამოთქმული შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ოთახების სარემონტო ხარჯები, ასევე კომპიუტერული ტექნიკის შესაძენი თანხები;

- ქალთა საფეხბურთო კლუბს გაეზარდოს ბიუჯეტი შესაძლებლობის ფარგლებში;

- ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ერთი ერთეული გარე განათების კალათის შესაძენი თანხა;

- სოციალურ პროგრამებს დაემატოს 50 000 ლარი ,,კოვიდ 19''-ის წინააღმდეგ საბრძოლო ღონისძიებებისა და სხვადასხვა საჭიროებებიდან გამომდინარე;

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა- პატრონობის ხარჯები გაიზარდოს 50 000 ლარით;

- გამარჯვებულ ქალთა კლუბისათვის 5000 ლარის დამატება;

- წითელი ჯვრის ორგანიზაციისათვის საოფისე ფართის მოწესრიგება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ იქვე განმარტა, რომ ძირითადი შენიშვნები შეეხება კაპიტალური ხარჯების ასახვას ბიუჯეტში იმ მინიმალური რაოდენობით, რომლის განსაზღვრაც ახლა შეუძლიათ და ამ მხრივ არ იქნებიან დამოკიდებული რეგიონული განვითარების ფონდზე. გარდა ამისა, ბიუჯეტში შეინიშნება გარკვეული მატება გასულ წელთან შედარებით. პროექტი დამუშავების პროცესშია, იწყება ადმინისტრაციული წარმოება და ამ ხნის განმავლობაში საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები კვლავ მიეწოდება მუნიციპალიტეტის მერიას და შესაძლებლობიდან გამომდინარე მოხდება მათი გათვალისწინება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.
მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N56 (26.11.2020)
საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ საკრებულოს დღევანდელ სხდომას ბოიკოტის რეჟიმში არ ესწრებიან საკრებულოს წევრები კახაბერ ასკურავა და იოსებ ჩხაიძე.

საკრებულოს წევრის **ლელა ჩახვაძის** თქმით, საკრებულოს ბიუროს სხდომის წინ მომართა საკრებულოს, რომ ბოიკოტის რეჟიმიდან გამომდინარე არ დაესწრებოდა სხდომებს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ უკვე გააკეთა ამის შესახებ განცხადება, მაგრამ თავს ვალდებულად თვლის კიდევ ერთხელ განმარტოს, რომ კომისიაში შეიტანა განცხადება ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დატოვების შესახებ. აქედან გამომდინარე, არანაირი კავშირი ფრაქციასთან აღარ აქვს და არც ბოიკოტის რეჟიმში იმყოფება. რაც შეეხება კახაბერ ასკურავას და იოსებ ჩხაიძეს, საკრებულოს წევრის თქმით, ეს მათი პირადი გადაწყვეტილებაა.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, რომელიც ითხოვს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვიმბალაური, ს/კ 27.08.47.430; შენობა-ნაგებობა N1-საერთო ფართი 1322,1 კვ.მ.) ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის” პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემას. იმისთვის, რომ ფედერაციამ შეძლოს აკადემიის მოვლა-პატრონობა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ” პუნქტის “დ.დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემის საკითხს.

საკრებულოს წევრის **ამირან გიგინეიშვილის** განაცხადებით, წარმოდგენილ პროექტში არსად არ ჩანს, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია მუნიციპალიტეტის მერიას საკითხთან მიმართებაში-კერძოდ, საჭიროა თუ არა აღნიშნული უძრავი ქონების ასეთი სახით, ათი წლით გაჩუქება. რეგულაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მისი საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს მუნიციპალიტეტს არ ქონდა ერთ ლარად რაიმეს გასხვისების უფლება. მას აინტერესებს, შეიცვალა თუ არა ეს რეგულაცია და ასევე, რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს აღნიშნული ტერიტორიის რეაბილიტაცია.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ რეგულაციები შეიცვალა. გარდა ამისა, საკითხი შეთანხმებულია როგორც იურისტებთან, ასევე აუდიტთანაც. რაც შეეხება იმას, თუ რა თანხა დაიხარჯა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ამასთან დაკავშირებით ზუსტი ციფრის დასახელება გაუჭირდება, სავარაუდოდ, თანხა დაახლოებით ერთი მლნ-ის ფარგლებშია.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უძრავი ქონება, რომლის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტს დაუჯდა დაახლოებით ერთი მლნ ლარი, ათი წლის ვადით ჩუქდება ერთ ლარად. ათი წლის შემდეგ ეს შენობა-ნაგებობა დაშლილი იქნება.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის **ომარ ჯანაძის** აზრით, აღნიშნული საკითხის გაპოლიტიკურება არამიზანშეწონილია და მართებული არ არის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განმარტებით, ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის” აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემა ნიშნავს სოლიდური მუნიციპალური თანხის დაზოგვას, რადგან ქონების ექსპლოატაცია და მოვლა -პატრონობა დაახლოებით 5-6 მლნ ლარი დაჯდება. ამ თანხას კი თავის თავზე იღებს ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.”

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინაღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (ამირან გიგინეიშვილი).
მიღებულ იქნა განკარგულება N57 (26.11.2020)
სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, დაიწყო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია, რომელიც 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდება. ამ კამპანიას უერთდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიც. საკრებულოს წევრმა იქვე შენიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ ყველაზე დაბალიპროცენტული მაჩვენებელი არის გურიაში და კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამხვილა ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი“-ს ჩემპიონთა ლიგაში გასვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს არის უდიდესი მიღწევა. მან გოგონებს უსურვა გამარჯვება და შემდგომი წარმატებები. საკრებულოს წევრის ამ მილოცვას ერთხმად შეუერთდნენ დარბაზში მყოფები.
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ორი დღის წინ სოფელ ჩიბათში მოხდა ავტოავარია, რის შედეგადაც ჩიბათის და ლესის მოსახლეობას არ მიეწოდება წყალი და ბუნებრივი აირი. ხალხი ითხოვს დახმარებას, რადგან ვერანაირად ვერ ხერხდება გადავარდნილი ტრაილერის ამოყვანა, რათა აღდგეს წყლისა და ბუნებრივი აირის მიწოდება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

26 ნოემბერი **2020** წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10⁰⁰	
2	ვლადიმერ ნანაძე	10⁵⁵	
3	ვერიკო კვირკველია		
4	ალექსანდრე მახათაძე	10⁴⁵	
5	გიორგი ჩახვაძე	10⁵⁵	
6	გიორგი გვარჯალაძე	10.57	
7	ემზარ თევდორაძე		
8	ბესიკ კუპრაძე	10⁵⁷	
9	გოგი მორჩილაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
11	ლელა ჩახვაძე	10 სთ. 55 წთ.	
12	ზაზა წულაძე	10⁴⁵	
13	კახა ბოლქვაძე	10:58	
14	ციცინო ჩხაიძე	10⁴⁵	
15	კარლო კვიტაიშვილი		
16	ზურაბ კუკულავა	10⁴⁵	
17	იოსებ ჩხაიძე		
18	ოთარ პატიეშვილი	10:45	
19	ელისო ჭიჭინაძე		
20	ამირან ქანთარია	10⁵⁰	
21	დავით ჩხარტიშვილი		
22	აკაკი იმნაიშვილი		
23	ზაალ სანაძე	10⁵⁵	

24	რევაზ კვერენჩხილაძე		
25	კახაბერ ასკურავა		
26	ამირან გიგინეიშვილი	10 45	
27	ირაკლი მარშანიშვილი		
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე	10 50	
30	კახა თედორაძე	10 55	
31	რეზო კვაჭაძე	10 55	
32	ვენე კვირკველია	10 50	